

**კედამსია:** სოლოლაკზე, სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**კანტორა კედამსიისა:** სერ-გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. ბარეზე მცხოვრებთათვის. ВЪ ТИХ. МѢС. ВЪ РЕДАКЦІИ ГАЗ. „ПРОСВѢД.“

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მან., ნახევარ წლისა — 4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის — 3 მან.

ხრეველ დეო ორზაბათს ბარდა

# ფრთხი

ცალკე ნომერი ღირს შაშრაო

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებებისა:** დიდს სიუ-ებით ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე — 8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-ცეროთი — 5 კაპ., პატარა — 4 კაპ.

**კედამსიას უზღუბა** აქვს გაას-წოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდალი სტატიები ავტორს დაუბრუნდება.

ხრეველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

**ხელის-მოწერა:** თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8).

მალაქს გარეზე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ ТИФЛИСѢ. ВЪ РЕДАКЦІИ ГАЗЕТЫ „ПРОСВѢД.“

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის — 3 მან.

პირველი მაისიდან პირველ ივლი-სამდინ გაზეთი ღირს — 2 მან., წლის დამ-ლევაში — 6 მანეთი.

ხედეფი ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში გამო-გზავნილი.

პეტერბურლის ბირჟა, 3 მაისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი.) მან. კაპ.

ლონდონი —	25	”	”
ამსტერდამი —	116—25	”	”
ჰამბურგი —	195	”	”
პარიჟი —	239—50	”	”
შინაგანი: 5% სესხის ბილეთები			
პირველი სესხის —	227—75		
მეორე სესხის —	223 — ”		
ბანკის ბილეთები:			
პირველი გამოცემის —	97—12		
მეორესი —	95—12		
მესამესი —	95—12		
მეოთხესი —	95 — ”		
აღმოსავლეთის —	94—35		
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8—60		

## საქართველო

საარსეთის შაჰი თფილისში

მოგვეყვას შესხმა, რომელიც უთხრეს 2 მაისს მალაქის კარებთან სპარსეთის შაჰს თფილისის გუბერნიის თვად-აზნა-ურთა წინამძღოლის თანამდებობის აღ-მასრულებელმა თ. ღ. სუმბათოვმა და მალაქის თავმა უფ. ღ. ი. შიფიანმა. თ. ღ. სუმბათოვმა უთხრა შემდეგი სიტყვა: „მეორედ მაქვს ბედნიერება საქართვე-ლოს თვად-აზნაურთა მხრით მოგილო-ცოთ, თქვენო ღიღებულდება, მობრძანე-ბა სატახტო ქალაქში ძავეასიის სანამე-სტნიკოსისა, რომელიც მოსამზღერეა ჩი-ნებულის და ძღვევამოსილის ირანისა. თფილისის გუბერნიის თვად-აზნაურობა დიდად აფასებს თქვენ ღიღებულების ხილ-ვის ბედნიერებას და ამასთანავე ამ თა-ვად-აზნაურობას უხარია, რომ ის ვიწ-რო კავშირი, რომელიც თქვენა და ჩვენს ხელმწიფეს აერთებს, თან-და-თან მაგრ-დება ორთავე სახელმწიფოს საკეთილ-დღეოთ.“

ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ, შაჰიმ იკითხა — თუ რა მდგომარეობაში არის საქართველოს თვად-აზნაურობაო, და მერე მიუბრუნდა მალაქის თავს უფ. ღ. შიფიანს, რომელმანაც თავის მხრით უთხ-რა შემდეგი შესხმა: „მალაქის წარმომადგენელთ აქვთ ბე-დნიერება მოგილოცოთ, თქვენო ღი-ღებულდება, ჩვენი ხელმწიფის მეგობა-რო, მშვიდობით მობრძანება ჩვენს ქა-ლაქში და გაბედვენ გულისთადი ნატე-

რის განცხადებას, რომ თქვენი მოგზაუ-რობა დასრულდეს ისე, როგორც შეე-ფერება თქვენს ღიღებას და განზრახვას.“

შუშინ, 3 ს მაისს, საუბედუროთ, თით-ქმის მთელი დღე წვიმა და ამიტომ სალამოსათვის გაკეთებულ ილუმინაციას შნო და ლაზთი დაეკარგა, რადგან ქრა-ქები და ფერად ფერადი ფანრები სულ ჩაქრო წვიმამ.

სალამოსთვის ჩვენს საზაფხულო თე-ატრში საკუთრივ შაჰისათვის დანიშნული წარმოდგენა (qala), რომელზედაც მთა-ვარ. სამშართველომ თფილისის წარჩინე-ბულ პირებს გაუგზავნა დასაბატყებელი მუქთი ბილეთები. ძაცები ფრაკებში და მუნდირებში, ქალები დეკოლტით იყე-ნენ. შეველია, რომ მადამ ტოლემ ამ შაჰის მოსვლის წყალობით დიდი ფული მოიგო: საუკეთესო მატერიებს გაასადებდა რადგან ქალები თითქო ერთმანეთის ჯიბ-რით რაც შეიძლება მდიდრულად და უკანასკნელ მოღაზედ იყენენ გამოწყო-ბილნი; რაც თვალ-მარგალიტი ჰქონდათ, ყველას გამოეფინა.

ცხრის ნახევარზე მოვიდა შაჰი თეატრ-ში; კიბზე მიეგებნენ მისს ღიღებულებას თ. სვიატოპოლკ-მირსკი და თეატრის დირექტორი ღენ. ლიმონავსკი; მთელი საზოგადოება თეატრის კარიდორში უც-დიდა.

შაჰი ამობრძანდა წყნარის, დინჯის ნაბიჯით, ერთი გადმოხედა საზოგადოებას და პირ-და-პირ ავიდა თავის ოლოჯში. სულ უბრალოთ იყო ჩაცმული; ცხოლოთ ყველას დარჩა თვალი იმ ცერის-ოდენა ექვს აღმასის თვალზედ, რომელიც ღი-ღების მაგივრად ჰქონდა იმას ჩოხაზედ.

მრთი მაინც მომცა ეს თვალი და მე-ტი არა მიხდა-რაო! ბევრმა სიტყა.

შაჰსთან ერთად დასხდნენ ოლოჯში: თ. სვიატოპოლკ-მირსკი, თ. ბრ. მუხმე-ლიანი და იმის სადრიზანი (უცხო ქვე-ყნის საქმეთა მინისტრის).

თეატრში ითამაშეს ამ დღეს ოპერე-ტკა „მშვენიერი ბალატი“.

მთელი წარმოდგენის განმავლობაში შაჰსს ერთხელ მეტად არ ამოუღია ხმა; ერთხელ კი რალაც ისე ხმა-მალა უთხ-რა თავის მინისტრს, რომ პარტერში გავიგონეთ. მეორეთაც ჩაიციხა, როდეს-აც მშვენიერი ბალატი და ბიჭი მუ-ხიკის აყოლებით ჰქოცნიან ერთმანედს.

მეთერთმეტე საათის ნახევარზე წარ-მოდგენა გათავდა და შაჰი გამობრძან-და თეატრის ბაღში, სადაც დამზადებუ-ლი იყო ოთახი; მაგრამ აქაც კი დამ-

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი, 2 მაისს.** უმთავრესი წინა-აღმდეგობა სან-სტეფანოს მორიგების შე-სახებ ინგლისის მხრით იმაში მდგომარ-ეობს, რომ ეს პირობა ერთობ დიდ გაფლენას და უპირატესობას აძლევს რუ-სეთს ოსმალეთის ბედზედ. ახალი ბო-ლგარია და ამასთანავე რუსეთის გავრცე-ლება და გაძლიერება მცირე აზიისაკენ თითქმის რუსეთის მორჩილ ყმად ჰხდის ოსმალეთსო. თუ რუსეთმა არ დაუთმო ინგლისის მთხოვნილებას, ის თავის თავს დაკმაყოფილებულად ვერ ჩათვლის. სან-სტეფანოს მორიგების ძალით შედგე-ნილი ბოლგარიის სამზღვრები ძალიან შემცირებული უნდა იქნეს. თუ ამაზე დათანხმდა რუსეთი, მაშინ შეიძლება სომხეთის ახალი სამზღვრები შესაცვლე-ლად აღარ დარჩეს.

**სტამბოლი, 2 მაისს.** რუსეთი და ოს-მალეთი ვერ მორიგდნენ იმის თაობაზე, რომ ერთსა-და იმავე ღროს ოსმალებს გაეყვანათ ბათუმიდამ, მარნიდამ და შუ-შილიდამ თავის ჯარები და რუსებიც სან-სტეფანოლამ ადრიანაპოლში დაბრუ-ნებულებიყვნენ; ვერ მორიგდნენ, რადგან ეს პროექტი ღენ. ტოტლებენისა პეტერ-ბურღში არ დაამტკიცეს.

რუსის ელჩი ლობანოვ-როსტოვსკი მოვიდა სტამბოლში.



ჯღარა: შეედა, ერთი მიტრიალდ-მოტრიალდა, ოქროს სათვალეები გაკეთა, ერთი გადმოხედა საზოგადოებას და დაბრუნდა. აქ წარუდგინეს იმას ზოგიერთი ქალები, რომელთაც თითო-ორი-ორი სიტყვა უთხრა ფრანკოზულად. მერტმეტ საათზე სასახლეში დაბრუნდა თეატრიდ. მ. მანუჩი

დღეს, 4 მაისს, დღის 9 საათზე ზარზაზნის სროლაში შეგვატყობინა, რომ შაჰი ნესრ-მდინი წავიდა თუილისიდან. როგორც მოგვს ნებნათ, აქედამ ისპირდა-პირ პეტერბურღში მიდის და პეტერბურღიდან პარიჟს გამოფენაზე, სადაც, ამბობენ, ერთი თვე დარჩება.

ამბობენ, შაჰი ძალიან კმაყოფილი დარჩა, რომ თუალისში კარგათ მიმიღესო. ბევრი „ლომისა და მზის“ ორდენები დაარჩა იმან ჩვენში...

**დღიური**

\* \* \* მასულ ორშაბათის სხდომაში ძალაქის რჩევას კიდევ პირუტყვის საკლავი ადგილის თაობაზედ ჰქონდა ლაპარაკი. ძალაქის თავმა აცნობა რჩევას, რომ უ. ლუბერნატორი ჰკითხულობსო, როდის გექნებათ მზათ ძალაქის წრეს გარეთ პირუტყვის საკლავი ადგილიო. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ, რჩევამ გადაწყვიტა უპასუხო უფ. თუილისის ლუბერნატორს, რომ რჩევისაგან ამორჩეულია კომისია, რომელმანც უნდა გადაწყვიტოს. თუ სად და როგორ უნდა ამენდეს სამუდამო სახლი პირუტყვის საკლავად და თუ რომელი საყასპოები უნდა დარჩნენ დროებით თვითონ ძალაქში.

ამას შემდეგ რჩევამ განიხილა ძალაქის ზამგეობის (შპრავის) მოხსენება ქუჩების განათების შესახებ შედგენილს პირობებზე და აგრეთვე ვაჭრობის დანიშნვა ამ საგანზედ. პირობები რჩევამ დაამტკიცა და ამასთანავე მიანდო ზამგეობას, რომ ვაჭრობა (ტარგი) დანიშნოს.

\* \* \* ბუშინ, 2 მაისს, პირველად გაანათეს გაზით ზოგერთი ქუჩები სოლოლაქისა. როგორც მოგვს ნებნათ, ეს გაზით განათება გამოსაცდელად მიიღო ძალაქის რჩევამ. ეს საქმე სულ უ. მ. ი. სურგუნოვის თაობით დაიწყო და თუ ამ რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ძალაქის ქუჩები გაზით იქნა განათებული, ამას ჩვენ ხსენებულ ხმოვანს უნდა უმაღლიდეთ.

იმედია, ძალაქის რჩევა დარწმუნდება ამ „ცდით“, ამ რამდენიმე ქუჩის გაზით განათებით, რომ ამგვარი განათება ერთი-ორად უფრო გამანათებელია ქუჩებისა და თათქის ერთი-ორათაც უფრო იაფად დაუჯდება ძალაქს.

\* \* \* ჩვენ გვითხრეს, რომ ამას წინათ ავაზაკებისაგან დაჭრილი უფ. ძასუმოვი კარგათ არისო ასე, რომ სასიკვდილო არა უშავს-რაო. ამბობენ, უფ. ძასუმოვს დაუნიშნავს 200 მან. იმისთვის, ვინც

იმის დაჭრელს და გამცარცველს ავაზაკებს აღმოაჩენს.

**„დროის“ კორესპონდენცია**

სიღნაღი, 27 აპრილს. სამი კვირა იქნება მას აქეთ, რაც ერთმა კაა ხნის დაფარულმა, შესანიშნავ მაღა ყურადღების ღირსმა საქმემ იჩინა თავი ჩვენს სიღნაღში. რადგანაც ეს ამავეი საყოველთაო მსჯელობას შეეხება და ყველასათვის ჩასაფიქრებელია, ამი გამო ორიოდ სიტყვას მოგახსენებ:

აღდგომის წინა დღეებში, ჩვენი სიღნაღის საპატიმროში მოაბრძანეს ერთი ხელგებ-შეთოკილი ვილაკ მენათე ნემცი თავის მუშა ქართველებიანათ; მათ რიცხვში უფ. თუქურმიშული პრისტავიც ერთია.

მთელი ჩვენი სიღნაღის საზოგადოება აღელვდა მათი დანახვით! საითაც აგებნდნათ, ყველგან გულში მუშტის იცემდნენ და კბილების ღრქენით ამბობდნენ ამ სიტყვებს: „ახ, ღმერთმა კი რა გიყოთ თქვე კაცის მჭამლებო, უქვენა, აწ რა კაცები დახოცეს მაგ... მ...და!“ მრავალი ამ გვარი სიტყვები ცხადათ ამტკიცებდნენ, რომ ეს ხალხი სასტიკ საქმეზედ უნდა ყოფილიყვნენ დაჭერილნი.

მსურდა რა გამეგო ნამდვილად მიზეზი მათი დაჭრისა, მე გამოვეკითხე დაწერილებით ერთ ქართველს, რომელიც მუშაობს წვეთის ქარხანაში. მან მიანბო შემდეგი: ამ ექვსი თვის წინათ სოფ. მლდრიდამ მომავლებულან ორი ცხენოსანი კაცი, ერთი სომეხი და მეორე თათარი. აპოუვლიათ თუ არ შირაქში წვეთის ქარხანის მახლობლად, ისინი დაუნახაეს ნემენცს და უბრძანებია სამი მოჯამაგირე ქართველებისათვის, რომ მოებრუნებინა ისინი.

ბიჭებს აღესრულებინათ ბრძანება. ნემენცს ვინ იღის რა მიზეზისათვისაც გამოუტანია თოკო, გაუბაწრავს ეს კაცები, გადაუბამს ერთმანეთზე და თავის მოჯამაგირების შემწეობით ჩაუყრია ეს საცოდავები ღრმათ ამოთხრილ ხაროში.

მსეც არ უქმარებია იმ ურწმუნო ნემენცს: გამოუტანია ორ-ღულუიანი თოფი, ჯერ ერთისათვის დაუცემია, მერე მეორისათვის და დაუხოცნია ის საცოდავი მგზავრები.

ამ ბარბაროსობის შემდეგ გაუცარცვავსთ მოკლულები; ფული, ვერცხლეული და იარაღი მოქმედ პირთანა სწორეთ გაუყვიათ. მერე დაუხოცნიათ მათი ცხენებ, დაუკაფნიათ ასო-ასოთ, ჩაუყრიათ ხაროში, ზედ მიწა-ნავითი დაუშატებრათ და ამოუქსიათ. არც მკვლელობაში და არც დავლაში არ მიუღია თურმე მონაწილეობა უფროსს პრიკასიკს ნემენცს ბოკს.

მა აქამდინ დაფარული საქმე ეხლა, ამ ბოლოს დროს გაუშვდაენა პრიკასიკმა უფ. თუქურმიშელ პრისტავს; მაგრამ იმ დალოცვილს ყურიც არ უთხოვებია ანისათვის, მხოლოდ უთქვამს ნემენცისთვის

ეს სიტყვები: „ძალი ბოკს-საქმე კარგა ხნის საქმე არის დეე ლაჩილო, თქვენს მეტმა არაფინ იცის და თუ ღმერთი გწამს აღარსად გააჩალოო“.

პატიოსან პრიკასიკს არ მოსწონებია უფ. პრისტავის დარიგება და წამოაუღლა პირდა-პირ სიღნაღში მაზრის უფროსთან. საქმე, რასაკვირველია, გამოაშკარავდა; მაზრის უფროსმა მყისვე დანიშნა გამოძიება, მონახეს ხარო, რომელშიაც საცოდავი მგზავრები ჩაჰყარეს და იხოვეს როგორც ცხენების ლეში, აგრეთვე დახოცილების სხეულიც.

ცხადათ გვიმტკიცებენ, უფ. რედაქტორო, უფ. პრისტავის სიტყვები, რომ იმასაც რგებია დახოცილებისაგან ნაშოენი დავლა, თორემ უპისოთ არ დაიჭრდა ასე საქმეს.

მხლა ეს ჩვენი პრისტავი ამ სატილოში აღებულ ფულებს საოხრზე ახმარს, სცდილობს როგორკე გამოძვრეს გალიიდამ; მაგრამ, რა ვიცი, სამართალმა უწყის კანონები თვისი.

მ. მნელ-მებელა

**ოქის აზებუი**

**ოქისთვის მზადება**

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა ლონდონიდან მიღებული:

„ამ დღეებში მოვიდა აქ მსამალის ფლოტის აღმირალი მობარტ-ფაშა, რომელმანც მოუტანა ინგლისის კოროლევას მიქტორიას სულთანისაგან საკუთარის ხელით დაწერილი წიგნი. ამბობენ, ვითომც მობარტ-ფაშამ მოახსენა კოროლევასაო, რომ, თუ ინგლისმა მალე არ გამოუცხადა რუსეთს ომი, უქვევლიაო, რომ რუსის ჯარები ამ მოკლე ხანში სტამბოლს დაიჭერნო. მსალებს, მობარტ-ფაშის სიტყვით, სულითა და გულით უნდთა, რომ რუსებს გადაუხადონ თავის დამარცხება და თუ ინგლისმა რუსეთს ომი გამოუცხადა, მსამალეთი უკანასკნელს 200,000 კარგათ დაიარაღებულს და გაწერთილ ჯარს მოახმარს იმასაო.“

ბერლინის გაზეთებში იწერებია ლონდონიდანვე, რომ ბალტიის ზღვაში გამოსაგზავნად ინგლისი 48 ხომალდს ამზადებო, რომელთაგან 43 სამხედრო ხომალდები არისო და დანარჩენი 5 ჯარების გადასყვანათ, რომელზედაც ორი დივიზიის დატევა შეიძლებაო.

„ხალხთ-შორის ტელეგრაფის საავენტო“ გაცნობებს შემდეგ ამბებს მკნიდამ მიღებულს:

„შმაგრესი უქმაყოფილება რუსეთსა და ინგლისს შუა ბათუმისა და მომავალი ბოლგარიის სამზღვრების თაობაზედ წარმოსდგება. ინგლისი თხოულობს, რომ ბათუმი უქვევლად ისევ მსამალეთს დარჩესო და სან-სტეფანოს პირობის ძალით დანიშნული ბოლგარიის სამზღვრები თითქმის სანახევროდ



უნდა შემცირდეს. ამ უკანასკნელს საგანში, ამბობენ, საფრანგეთსა და იტალიასაც ინგლისის მხარე უჭარავთ. მაგრამ მორიგების იმედი ჯერ კიდევ არ დაკარგულა.“

„ქეტერბურლის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი სიტყვები ახლანდელს პოლიტიკურ მდგომარეობაზედ:

„მინც კი იცის ინგლისის ხასიათი, ყველა დაწმუნებული უნდა იყოს, რომ ეს განხეთქილება ჩვენსა და იმას შუა უბრძოლველად არ გათავდება. ინგლისის ხალხი ვაჭრული ანგარიშის ხალხია; იმან დიდი ხარჯი გასწია ომისთვის მოსამზადებლად და, უეჭველია, სანამ ამ ხარჯს არ ამოიგებს ჩვენგან, მანამ არ დაწყნარდება. და ხარჯის ამოგებაც მხოლოდ ომით შეუძლია, თუ კი გაიმარჯვება.“

„მამ ტყუილი იმედი გვაქვს ჩვენ მშვიდობიანათ საქმის გათავებისა; და თუ ომი აუცილებელია, ახლავე ატყდეს ბრძოლა, ისა სჯობიან, რადგან რაც ხანი მიდის, ინგლისი თან-და-თან უფრო კარგათ ემზადება და ჩვენ კი ტყუილ-უპრალოთ ვიტანჯებით, ფულსა ვხარჯავთ და ჯარი გვაკლდება...“

„მთილისის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ნაამბები მილიციონერის აღმასხან ლობჯინისა, რომელიც რუსის შვიონად ყოფილა ჯერ სინის-ძირზე და მერე აქედამ სტამბოლში:

„შარშან ზაფხულს, 11 ივნისს, პირველი ქართველების დრუჟინის მილიციონერმა შაგო შირთახიამ მოიტაცა სახანონო ყუთილამ თხუთმეტი ათასი მანეთი ქალაქის ფული და ბანკის ბილეთები და გაიქცა მუხა-მსტატილამ ოსმალთა ბანაკში.“

„მურიის მეორე დრუჟინის მილიციონერმა აღმასხან ლობჯინიძემ, რომელმანც კარგათ იცოდა თათრული ენა, გამოაცხადა სურვილი, რომ გამოუდგება ხსენებულ შირთახისა და ეცდება იმის დაჭერას. მთავრობის ნებართვით, ის წავიდა მსამალთა ბანაკში, ხუც-შანში, სადაც გამოუცხადა ოსმალთა მთავრობას, რომ რუსებთანგან გამოქცეული ვარ და თქვენს სამხატურში მინდა ჩავეწროვო.“

„მსამალთმა კარგათ მიიღეს; ღერვი-ფაშამ ჰკითხა იმას რუსის ჯარის მდგომარეობა; იმანაც ათასი ტყვილები და მოგონილი ამბები უთხრა.“

„სოტა ხნის შემდეგ, აქვე მოვიდა ბიორგი შირთახიაც. მან უთხრა ოსმალთებს, რომ კაც უმომაკვდა და იმიტომ გამოვიქციე რუსებისგანაო. მა შირთახია და ლობჯინიძე მალე დამეგობრდნენ და ერთხელ შირთახიამ უთხრა ამას, რომ მენ ნუ მილაღატებ, მეგობრად ვიყენეთ და ფულებს ბლოძაო მოგცემო.“

„ღერვი-ფაშამ მალე აფიცრობა მისცა ლობჯინიძეს, რადგან ძალიან შეეყვარა.“

„სოტა ხანს შემდეგ ლობჯინიძე და შირთახია ორივე ბათუმში გაგზავნეს, სადაც შირთახიას ექვსასი მანეთი მიეცა ლობჯინიძისათვის.“

„მსამალთს პოლიციამ რაღაცას გამოეჭვი აიღეს შირთახიანზე, გაუჩხრიკეს სახლი და როდესაც ბევრი ფულიები უნახეს, ეგონათ, რომ რუსის შვიონი არისო; ამის გამო დახვრეტას უპირებდნენ. მაგრამ ამან დააჩუქუნა ოსმალთები, რომ დუქანი მქანდა, გავყიდე ფულები წამოვიღე და ისე გამოვიქციეო.“

„ლობჯინიძე და შირთახია ჩასვეს ხომალდში და ორივე სტამბოლში გაგზავნეს, რადგან ლობჯინიძეზედაც ეჭვი აიღეს, რომ ისიც რუსებისგან საზვერავად გამოგზავნილი არისო.“

„სტამბოლში ორივე დაატუსაღეს; შირთახია გაიქცა და ლობჯინიძეს გამოუცხადეს, რომ შენ უნდა დაგხვრიტოთო; ამან შეჰფიცა მსამალთს მთავრობას, რომ ნამდვილათ გამოქცეული ვარ რუსებისგან და ხონთქრის ქვეშევრდომობა მინდაო. ბოლოს, მეჰმედ-ფაშის შუამდგომლობით იმას აპატიეს, რადგან მამადის საწმუნოება მიიღო.“

„როდესაც მდესილამ მოვიდა რუსის ტყვეების წასაყვანი ხომალდი, ლობჯინიძე ჩუმათ ჩაჯდა ამ ხომალდში და გამოიპარა სტამბოლიდამ.“

როგორც „მთ. მოამბე“ იწერება, ეს ლობჯინიძე ნაციმბირალი ყოფილა; მწლით გაგზავნილი ყოფილა; შვილი თვის შემდეგ გამოქცეულა სიმბირილდამ, მოსულა შინ და ბურთის დრუჟინაში ჩარიცხულა.

ვერის მომხატვარი

მთილასის მარცხენა მხარეს, ვერის ხევთან მტკვრის ზემოდამ, ერთს ტრიალსა და პატარა მინდორზე სდგას ერთი დიამ-მშვენიერი ძველი ქართული ეკლესია, რომლის აშენებაზედ როგორც საქართველოს სამოქალაქო, აგრეთვე სასულიერო ისტორიკოსთა მოგვითხრობს.

მანუშტი კი მოიხსენიებს თავის გეოგრაფიაში, რომ ვერის აქედამ არის ერთი წმინდა-ორგის მონასტერი და სცხოვრობს ერთი ღვდელიო. როგორც გადმოცეს ვერელებმა, აქამდისინ ამ ეკლესიაში მართებლობის განკარგულებით თოფის წამალი ინახებოდაო, და ახლა დაცალეს და სამლოცველოთ გადააკეთეს და რუსულათ წირვალოცვა დგებოა.

მითან ეკლესია იქნება სიგძით ათი საყენი; ქვითკირის დიდრონი კედლებია ატანილი ქერაზინ; ძირსაც ჯვრაც ისევ ძველებური მშვენიერი დიდრონი ქართული (ჩანურის აკურით არის დაკვეთილი; საკურთხეველი ვიხანტურ სახეზეა გაკეთებული. მს საკურთხეველი არის შეზავებული ფერად-ფერად წამლებითა და წარწერები მრჯვენს მხარეს კარებთან შესავალში ერთ ქვაზე ვნახე შემდეგი ხუტურათ წარწერა რომელიც სიტყუვა სიტყუთ გადმოვსწერე:

„მინადგან ჩემებრ ბრალეულთაგან

სარწმუნოებით კეთილთა.... კეთილად.... ქმნილი.... ამისთვის მეც კეთილთა ვმზახნია. სახელით ოდენ ქრისტეანე ქაქიმთ ხოლო ურჩი და ყოვლად უშიშო. ლთინისა ბრძანებითა უღირსი მაილი ქართლის მთავარ-ეპისკოპოზი ყოფილი. მე კეთილი ნაშრომისა იობისა (იოსებ) უნდოთა ამათა მცირეთა ნივთთ მიერ გულს მოღვინებით მსასოებელი შენი ციერსა ამასა გიმკობ საყდარ ქართულსა ამასა ტაძარს შენსა ყოვლისა სოფლისა მონადირებულთა სარწმუნოებას ზედა მართულსა ათთორმეტთ. თავად აღრიცხულსა დასსა მოციქულთასა თანა მოსაყდრეთა დასწრა პნდრია... ხოლო ვაშენებ ნაცვალ-საგებლად ჩემთვის და საყვარლისა ძმისა ჩემისა,.... უ. ქართლისა ამირთ ამირისა რუსთავისა და შეითთ მთეულთ პატრონისა აბუღხანი-სათვის; და უპირ მშოსა ძმისა ჩემისა შეილისა ღვითისათვის ვიდრემდე დაუდგომელსა და წარმომდინარესა სოფელსა შინა ხოლო..... ვიყენეთ მშვიდობით დატული საძვლეთა ამათა შინა ქორონიკონსა...“


ამ წარწერის ქვეით ეკლესიის კარების გაღიდების გულისთვის, ერთი არშინი ჩამოუქცევიათ ქვა და წარწერებიც რასაკვირველია დაკარგულა; იმ ქვაზე ქორონიკონი უნდა ყოფილიყოს.

მაგრამ უამისოთაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ეკლესია მეთერთმეტე საუკუნის დასასრულს არის აშენებული. საქართველოს სასულიერო ისტორიული წერილებიც მოგვითხრობენ, რომ მასილი ქართლის მთავარ-ეპისკოპოზი მეთერთმეტე საუკუნეში სცხოვრებდა და ებარა „შვიდთა მთეულთაო.“ ამვე მთავარ-ეპისკოპოზის ძმას საქართველოს გმირთაგმირს აპერთ-პაიერსაც ხომ „ქართლის სცხოვრებაც“ იხსენიებს, რომ ერთი რაღაც მტერზედ ატეხილი და მამულისთვის თავ-გადადებული კაცი იყოო და თავის სიქველით და სიმხნით ქართლის მეფესაც ძალიან უყვარდაო.

მანუშტიც რომ იძახის, მტკვრის ზემოდამ არის ერთი ლურჯი მონასტერი და სცხოვრობს ერთი ღვდელიო, სახელით ეწოდება ამ მონასტერს წმინდა მოციქული პნდრიაო, ეს ის ღვდელი უნდა იყოს ზაქარია შაბაშვილი—მთილისის სიონის დეკანოზი, რომელმაც და მასთან კიდევ ორმა სხვებმა, ერთმა ზენონ მთავარ-ეპისკოპოზმა და არხი-ეპისკოპოზმა ნინო-წმინდელმა მამინ რუსეთის სინოდში იჩივლეს, რომ პნტონ მათოლიკოზი ისეთ წიგნებსა სთარგმნის ლათინურიდამ და უკანასკნელს დროსაც სთარგმნა ერთი წიგნი, რომელიც არღვევს მართლ-მადიდებელთ ეკლესიის წესსა და შეზოაქეს კათოლიკე ეკლესიის რიგებო და თითქმის მთელი სამღვდლოება მიიმხრო ფრანგების მისიონერების შემწეობით და იმას ქადაგობენ, რომ ეგება ქართველები გავაფრანგოთო. მს მოხდა 1751 წელსა და იქნება ორი ან სამი წლით ან აღრე ან უკან.

მინადისინ ეს სამი სასულიერო პირ-





ნი რუსეთის სინოდისამ აშტარხის არხიმანდრიტის ხელმძღვანელობით პასუხს მიიღებდნენ, მინამდისინ ესენი ანტონ ქათოლიკოზის ბძანებით იქნენ განდევნილნი თფილისიდან: ნინო-წმინდელი მეტეხის უდაბნოში, ზენონ მთავარეპისკოპოზი ლავით-ბარეჯის მონასტერში და დეკანოზი ზაქარია ბაბაშვილი თფილისის მახლობლივ წმ. ანდრია მოციქულის მონასტერში, სადაც შემდეგ გარდაიცვალა კიდევ და აქვე დასაფლავებულია.

ჩვენის ფიქრით, ზაქარია ბაბაშვილის შემდეგ ან რუსებისა შეერთების დროს, გაოხრებულია ეს ეკლესია.

დასავლეთ მხარეს, კველში, ერთი მარმარილოს ქვა ყოფილა სადაც ქართულათ წერილა, რომ ეს ეკლესია ამა-ღამ საუკუნეში ამა-ღამ მართველთა მეფობის დროს აშენდა. შარშან, გადაკეთების დროს ეს ქვა გამოუღიათ, ქართულათ ნაწერი წაუშლიათ და რუსულათ დაუწერიათ, მესვეი ეგზარხის ბძანებით, რომ ეს ეკლესია განახლდა საქართველოს ღირსი მესვეი ეგზარხობის დროსა და სიონის დეკანოზის ბასხაროვის დროსა!...

მით უფრო იმედი მაქვს, უფალო რედაქტორო, რომ ამ წერილს თქვენს გახეთში მისცემთ ალაგს, რომ არხეოლოგიის კამისია ამისთანა საქმებს სულით ეძებს, რომ იპოვნონ, დაიცვან და განიხილონ; ამას გარდა, როგორც ვიბე, ეკლესიის გაღვასა და ზოგიერთი აღვინების ქვების გადაცვლას უპირებენო...

ზ. მთაწინელი

### განსხვავებანი

30-ს აპრილს შეკრებულ იყვნენ დაწვესებელნი ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობა საზოგადოებისა,

ლარიბთა მოსწავლეთა შესაწავრად შედგენილისა, — და გადაწყვიტეს, რომ დროებითი კამიტეტის სახელით მოიწვიონ საზოგადო კრება 8-ს მაისს 7<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზედ საღამოთი თავადაზნაურობა ბანკის სადგომში აღმოსარებად მოთანამდებ პირთა საზოგადოების საქმეების გამგეობისათვის.

დროებითი კამიტეტი ვალად ჰრაცხს ამის გამოცხადებას ზემოხსენებულის საზოგადოების წევრთა საცოდნოდ. (3—1)

### ქუთაისის სადგომ-გაგულო ბანკისაგან

მიხაილის თავადაზნაურობა სადგომ-გაგულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარეს პატევი აქვს ამ ბანკის წევრთა აცნობოს, რომ რადგან 26-ს აპრილს 1878 წ. დანიშნული საზოგადო ჩვეულებრივი კრება, ბანკის წევრთა რიცხვის ნაკლებობის გამო, ვერ შედგა, ამის გამო, თანახმად ბანკის წესდების § 83 მუხლისა, ინიშნება მეორე ჩვეულებრივი კრება 14-ს მაისს ამავე წლისა დილის 11-ს საათზე.

კრების სხდომები იქნება ქ. ქუთაისის ანანოვის სახლის ზალაში, რომელიც თფილისის ქუჩაზედ იმყოფება.

გარდაწყვეტილებანი ამ მეორე ჩვეულებრივი კრებისა დანიშნული სადგომების შესახებ, იმხამიან დაბოლოებითნი, რამდენიც წევრიც უნდა დაესწრენ ამ მეორეჯელ დანიშნულს ბანკის წევრთა საზოგადო კრებაზე. (1—1)

### ყვავილ კაცს

ყვადმიწვევით მცოდნეს ფრანცუ. ზულის ენისას ჰ. ჟურს აძლიოს ამ ენის

პრაქტიული და თეორიული გაკვეთილები. თუ საჭიროა იქნება თანახმაა სოფელში ან სხდმე — სხეც სსკლქში წაჰყვეს მსურველს, ანუ თვით ძალაქში დადგეს ოჯახში. აღრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება. (5—4)

### ტყაის ქარხანა თფილისში

დამოქნის ქუჩაზე, ბერძნის საყდრის პირდაპირ, სახლის № 22.

პატევი აქვს აცნობოს იმ პირთ, რომ მელნიც ტყავით ვაჭრობენ ანუ თავინთთვის სასყიდლად ეჭირებთ, რომ ამ ქარხანაში კეთდება და მუდამ მოიპოვება დამზადებული ყოველგვარი ტყავი წალბანისთვის, უნაზიკისა, კარბიტის და ფამბრონისა, ჩამყვებისა ლანა და სხვ.

ნარდათ (პარტიობით) ყიდვა ყველა ამ საქონლისა შეიძლება ქარხანის კანტონაში, სადაც მსურველს შეუძლიან აგრეთვე რა გვარი ტყავიც უნდა შეუკვეთოს და გაუკეთებენ. წვრილ-წვრილად ამ ქარხანის საქონელი იხყიდება მალაზიაში, სიონის პირდაპირ. (25—16)

დაიბეჭდა და იხყიდება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში — ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში:

### ბატონისუვილი

ირაკლის პირველი დრო ანუ თავადადმა ქართვლთა მამოცემული ზაქარია ჰიჭინაძისაგან. ფასი მძვნი ზაუარი

რპ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.
თფილისი	9 21	5 18		
მცხეთა	10 11	6 27	68	38
ბორი	11 58	9 43	2 40	1 33
საშური	1 29	11 57	3 92	2 18
სურამი	1 44		4 42	2 46
ქვირილი	5 49		5 81	3 23
რსონი	6 47		6 75	3 75
სამტრედია	7 41		7 73	4 29
ბზ-სენაკი	—		8 57	4 76
ფოთი	9 40		9 75	5 42
ფოთი	9 13			
ბზ-სენაკი	—		1 18	66
სამტრედია	11 16		2 6	14
რიონი	12 13		3 4	1 69
ქვირილი	1 18	ლაშე	3 98	2 21
სურამი	5 12	110	5 33	2 96
საშური	5 39	137	5 84	3 24
ბორი	7 5	4 8	7 36	4 9
მცხეთა	8 50	6 59	9 8	5 4
თფილისი	9 31	7 56	9 75	5 42

ტელეგრაფი	მ. კაპ	მაზანდა
მცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 4 მაი.ს.
ქუთაისს, ფოთს	1	შქვ. თვ. ბანჯისა, ფოთ.
ბორს, ლუშეთს, სიღნაღს	50	შქველი წითელი
როსტოვს, მდენას, მოსკოვს	2	ქერი ფული
პეტერბურგს, მარშავს	2	ბაზა მრეწვისა, ფუთი
მსმალეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი
იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაჟენტლი ბაზა ფუთი
ინგლისში	3 75	მატელი თუშური ფოთ
ფოფა		— მარაქამისა ფოთ
ა) თფილისიდან: სამხლვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე		აბრეშუმი ნუხური სტ.
კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ.		ძონი, ფუთი
მზურ. — პარასკ. და ორშ. ქახეთს — სამშ. და შაბ.		ძონის სათელი ფუთი
ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მზურგეთს — ორშ. და პარასკ.		სტეარინის სათელი, ფ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამხლვარ გარეთ:		ბორცი ძროხისა, ლიტ.
ლი წიგნის	4	— ცხვისა, ლიტრა
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8	სპირტი, ვედრო
		შაქარი, ბროც. ფუთი
		— ფხვნილი ფუთი
		შავა გრვადი, გირვ.
		ზ. თი ქუწკუთისა ფუთ.
		მაშაქო, საშუალო ფუთი

მან	კაპ	თფილისის სამკურნალო
		მრეწვის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
2		აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდნ.
170		მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიქარიაძე — სი
140		რურგი, ბარალევიჩი — შინაგ. ავითმე.
750		ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიქარიაძე — შინაგ. ავითმე.
850		ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიქარიაძე — შინაგ. ავითმე.
11		ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიქარიაძე — შინაგ. ავითმე.
620		აგათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი
360		— ბეზიანობის თვალის.
2		მ. თ. ს. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიქარიაძე — შინაგ. ავითმე.
540		ნაგანი ავითმეოფ, ბაკტა — გულის და ნერვების ავითმეოფ.
8		ს. უ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს. შიქარიაძე — შინაგ. ავითმეოფ.
13		ნაგანი ავითმეოფ. ბაგინისკი — ქალის და მბრეხტი — კბილის.
81		პარასკევს: მერმიშვილი — შინაგ. ავითმეოფ.
81		შ. თი ქუწკუთისა ფუთ.
520		და ბაკტი — გულის და ნერვების.
830		
620		
70		
12		
850		